საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 56 02/10/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **3** ივლისის **#50/44** განკარგეულბაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63–ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/44 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" და დანართი #2 -ს დაემატოს შემდეგი ობიექტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

1) ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სოფელ ღორეშაში მდებარე ყოფილი ექიმის სახლის შენობა ს/კ 36.06.32.010, ფართით 55,30 კვ.მ, ღირებულებით 300 (სამასი) ლარი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე